საქართველოს საარჩევნო
ადმინისტრაცია

განვითარება და მიღწევები

2016

საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციის შესახებ

საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაცია არის დამოუკიდებელი ადმინისტრაციული ორგანო. საარჩევნო ადმინისტრაცია უზრუნველყოფს საქართველოს პრეზიდენტის, საქართველოს პარლამენტის, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს-საკრებულოს, ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოს-მერის/გამგებლის არჩევნების, რეფერენდუმისა და პლებისციტის გამართვას საქართველოს მთელ ტერიტორიაზე.

საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციის შემადგენლობაშია:

- ✔ საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია (ცესკო) და მისი აპარატი
- ✔ აჭარის უმაღლესი საარჩევნო კომისია (უსკო) და მისი აპარატი
- ✔ საოლქო საარჩევნო კომისიები – 76 ოლქი
- ✔ საუბნო საარჩევნო კომისიები – საქართველოს პარლამენტის 2016 წლის 8 ოქტომბრის არჩევნებისთვის შეიქმნა 3634 საარჩევნო უბანი

საარჩევნო ადმინისტრაციის მისია

მიუკერძოებელი, გამჭვირვალე და მაღალპროფესიულ დონეზე ადმინისტრირებული არჩევნების ჩატარება კანონმდებლობის დაცვით და ყველა პირობის შექმნა, რათა ამომრჩევლებმა და სხვა ჩართულმა მხარეებმა თავისუფლად განახორციელონ საარჩევნო უფლება.

საარჩევნო ადმინისტრაციის ხედვა

საარჩევნო ადმინისტრაცია უზრუნველყოფს ყველასთვის თანაბრად ხელმისაწვდომ საარჩევნო სერვისებს და საარჩევნო პროცესის მთლიანობას, სარგებლობს საზოგადოებაში მაღალი ნდობით, თავის საქმიანობაში მუდმივად ნერგავს ინოვაციებს და საარჩევნო გარემოს განვითარებაზე ორიენტირებულ ინიციატივებს. საარჩევნო ადმინისტრაცია უზრუნველყოფს მართვის ეფექტურობისა და საარჩევნო ადმინისტრაციის პროფესიული შესაძლებლობების მუდმივ ზრდას.

საარჩევნო ადმინისტრაციის გაცხადებული სამოქმედო პრინციპებია:

დამოუკიდებლობა
საარჩევნო ადმინისტრაცია არის დამოუკიდებელი ორგანო, რომელიც მოქმედებს მხოლოდ კანონის ფარგლებში და არ ექცევა პოლიტიკური გავლენის ქვეშ.

გამჭვირვალობა
საარჩევნო ადმინისტრაცია უზრუნველყოფს ამომრჩევლებისა და საარჩევნო პროცესში ჩართული სხვა მხარეებისთვის ინფორმაციის ხელმისაწვდომობას და საკუთარი საქმიანობის ღიაობას.

პროფესიონალიზმი
საარჩევნო ადმინისტრაცია საქმიანობას ახორციელებს კვალიფიციური, კომპეტენტური ადამიანური რესურსებით.

ანგარიშვალდებულება
საარჩევნო ადმინისტრაცია პასუხისმგებელია საკუთარ ქმედებებზე და შესაბამის ინსტიტუციებსა და ამომრჩევლებს რეგულარულად წარუდგენს ანგარიშს გაწეული საქმიანობის შესახებ.

ინკლუზიურობა
საარჩევნო ადმინისტრაცია უზრუნველყოფს ყველასთვის თანაბრად ხელმისაწვდომი საარჩევნო გარემოს შექმნას.

ინსტიტუციური გაძლიერება

ორგანიზაციული განვითარება

საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაცია განვითარებული და მართვის თანამედროვე პრინციპებზე დაფუძნებული საჯარო ინსტიტუციაა, მკაფიოდ გამოკვეთილი პრიორიტეტებითა და მიზნებით. მისი ფუნქციაა იყოს საარჩევნო პროცესის მიუკერძოებელი არბიტრი. აგრეთვე, უზრუნველყოფს ყველასთვის თანაბრად ხელმისაწვდომ საარჩევნო სერვისებს და მონაწილეობს საარჩევნო ცოდნისა და განათლების გავრცელებაში.

ადამიანური რესურსების მართვა

ცესკოს სტრუქტურულ ერთეულებს შორის ფუნქციები ეფექტურადაა გადანაწილებული. ხორციელდება ადამიანური რესურსების განვითარება და პროფესიული შესაძლებლობების ამაღლება. ჩამოყალიბებულია მაღალკვალიფიციურ თანამშრომელთა მოზიდვის და შეფასების სისტემა. ცესკოს აპარატის თანამშრომლებს, აგრეთვე საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიების წევრებს რეგულარულად უტარდებათ კვალიფიკაციის ასამაღლებელი ტრენინგ-კურსები.

საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელეთა სერტიფიცირება

საარჩევნო ადმინისტრაცია ელექტრონული ტესტირების მეთოდით ატარებს გამოცდებს და გასცემს საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელის სერტიფიკატებს.

2015-2016 წლებში ჩატარდა 5 გამოცდა და 1127 მოქალაქემ მიიღო საარჩევნო მოხელის სერტიფიკატი.

ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება

საარჩევნო ადმინისტრაცია ფართოდ იყენებს ახალ ტექნოლოგიებს. ცესკოს მიერ შექმნილია ელექტრონული პროგრამა – არჩევნების მართვის სისტემა (არმასი), რომლის მეშვეობით ცესკოსთან ერთად საარჩევნო ინფორმაციას ამუშავებს 73 საოლქო საარჩევნო კომისია. არმასი უზრუნველყოფს საარჩევნო პროცესთან და ადმინისტრირებასთან დაკავშირებული დიდი მოცულობის ინფორმაციის ერთიან სისტემაში ასახვას და მართვას, აგრეთვე კენჭისყრის შედეგების სწრაფად დამუშავებას, რაც არჩევნების წინასწარი შედეგების საზოგადოებისთვის დროული მიწოდების შესაძლებლობას იძლევა.

არჩევნების მართვის სისტემის (არმასი) შემუშავებისა და დანერგვისათვის ცესკოს 2015 წელს გადაეცა საერთაშორისო საარჩევნო ჯილდო.

ცესკოში დაინერგა საქმისწარმოების ელექტრონული სისტემა (eDocument) და ნაბეჭდი დოკუმენტების მნიშვნელოვანი ნაწილი ჩანაცვლდა ელექტრონული დოკუმენტებით. სპეციალური პროგრამის გამოყენებით შეიქმნა ელექტრონული არქივი.

არქივში შესაძლებელია 7 დასახელების 60 276 დოკუმენტის მოძიება

რეგიონალურ ლიდერად პოზიციონირება

საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაცია ჩამოყალიბდა რეგიონალურ ლიდერად და მისი წარმომადგენლები ახორციელებენ საკონსულტაციო-საექსპერტო მომსახურებას სხვადასხვა ქვეყნების საარჩევნო ადმინისტრაციების მიწვევით.

ცესკოს ინიციატივითა და ორგანიზებით საქართველოში 3 საერთაშორისო კონფერენცია გაიმართა. ცესკოს წარმომადგენლებმა 2015-2016 წლებში 54 საერთაშორისო ღონისძიებაში მიიღეს მონაწილეობა.

ევროკავშირის მიერ დაფინანსებული კვლევის, „ეროვნული ანტიკორუფციული სისტემის შეფასება ევროპის აღმოსავლეთ პარტნიორობის რეგიონში“ თანახმად, 2011 წელთან შედარებით, ცესკომ ყველაზე დიდი წინსვლა განიცადა ინსტიტუციებს შორის და უმაღლესი შეფასება მიიღო.

საარჩევნო გარემო

არჩევნების სანდოობის რისკების მართვა

ცესკომ შეიმუშავა არჩევნების სანდოობის რისკების მართვის გეგმა, რომელიც შესაძლებლობას იძლევა მოხდეს რისკების კლასიფიკაცია და სწორად განისაზღვროს სამოქმედო სტრატეგია საარჩევნო პროცესის უკეთ წარმართვისთვის. გეგმა საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდთან (IFES) თანამშრომლობით შეიქმნა.

სამართლებრივი ჩარჩოს და პროცედურების დახვეწა

ცესკოს მიერ შეთავაზებული საკანონმდებლო ცვლილებების უმეტესობა გაიზიარა საქართველოს პარლამენტმა. ცვლილებების შედეგად დაიხვეწა და დაზუსტდა ბევრი ტექნიკური პროცედურა. საარჩევნო პროცესების ერთგვაროვანი აღქმისა და პრაქტიკის დანერგვის მიზნით ცესკო ჩართულ მხარეებს სთავაზობს სამოქალაქო სექტორთან ერთად შემუშავებულ საარჩევნო დავების, საარჩევნო სანქციების ერთგვაროვანი პრაქტიკისა და ადმინისტრაციული რესურსების სახელმძღვანელოებს.

საზღვრების დადგენის პროცესი

საქართველოს პარლამენტის 2016 წლის არჩევნებისთვის ცესკომ განახლებული კანონმდებლობის საფუძველზე 30 ერთმანდატიანი მაჟორიტარული ოლქის საზღვრები ხმის თანაბრობისა და საერთაშორისო პრინციპების გათვალისწინებით დაადგინა. საზღვრების დელიმიტაციის სამუშაო პროცესი საჯაროდ, საერთაშორისო და ადგილობრივი ორგანიზაციების, სამოქალაქო სექტორისა და პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლების მონაწილეობით წარიმართა.
ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ, საკუთარი ინიციატივით მოამზადა და გადასცა პოლიტიკურ პარტიებს 73 მაჟორიტარული ოლქის ელექტრონული რუკა.

მუდმივმოქმედი სამუშაო ჯგუფები

ჩართულ მხარეებთან ეფექტური თანამშრომლობისა და ინკლუზიური საარჩევნო გარემოს ხელშეწყობის მიზნით, ცესკოში საერთაშორისო ორგანიზაციების, საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური მისიების, ადგილობრივი სამოქალაქო ორგანიზაციების, პოლიტიკური პარტიების, მედიისა და სხვადასხვა უწყებების წარმომადგენელთა მონაწილეობით ფუნქციონირებს:

- ✔ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ამომრჩეველთა საკითხებზე მომუშავე სამუშაო ჯგუფი
- ✔ ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელ ამომრჩეველთა საკითხებზე მომუშავე სამუშაო ჯგუფი
- ✔ ტექნიკური სამუშაო ჯგუფი (TWG)
- ✔ მუდმივმოქმედი გენდერული თანასწორობის საბჭო

საჯარო ინფორმაციის გაცემა

საარჩევნო ადმინისტრაცია შეუფერხებლად უზრუნველყოფს საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობას. ცესკოს ვებ-გვერდზე ხელმისაწვდომია ყველა მნიშვნელოვანი საარჩევნო ინფორმაცია მათ შორის სტატისტიკური მონაცემები არჩევნების ხარჯებისა და პოლიტიკური პარტიების/საარჩევნო სუბიექტების დაფინანსების შესახებ.

2015 წელს საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის 100%-იანი უზრუნველყოფისთვის ცესკოს და საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრს (სწავლების ცენტრი) ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის (IDFI) სპეციალური სიგელი გადაეცა.

სასწავლო პროგრამები ჩართული მხარეებისთვის

საარჩევნო ადმინისტრაცია საარჩევნო პროცესებში საზოგადოების მონაწილეობის ზრდის უზრუნველსაყოფად და ჩართული მხარეების შესაძლებლობების განვითარების მხარდაჭერის მიზნით სპეციალურ ტრენინგ-კურსებს ატარებს დამკვირვებელი ორგანიზაციების, საარჩევნო სუბიექტების, მედიის, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა და სასჯელაღსრულების სისტემის წარმომადგენლებისათვის. 2016 წელს საგრანტო კონკურსში გამარჯვებულ არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით ჩატარდა ტრენინგები: 23 პოლიტიკური პარტიის, 11 კვალიფიციური და 12 არაკვალიფიციური პოლიტიკური პარტიის 1500-ზე მეტი წარმომადგენელისთვის

ინკლუზიური საარჩევნო გარემოს ხელშეწყობა

ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი ამომრჩეველი

ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი ამომრჩევლებისთვის შექმნილია თანაბარი საარჩევნო გარემო, მათთვის გასაგებ ენებზე (აზერბაიჯანული, სომხური) ითარგმნება ყველა მნიშვნელოვანი საარჩევნო დოკუმენტაცია და ხელმისაწვდომია საინფორმაციო ვიდეო რგოლები. ცესკოს სატელეფონო/საინფორმაციო ცენტრი ეთნიკური უმცირესობების ამომრჩევლებს ემსახურება მათთვის გასაგებ ენებზე.

გენდერული თანასწორობის ხელშეწყობა

საარჩევნო ადმინისტრაცია ხელმძღვანელობს გენდერული პოლიტიკის დოკუმენტით, აღიარებს პრიორიტეტად და ითვალისწინებს გენდერულ ასპექტებს თავის საქმიანობაში. ცესკო მიზნად ისახავს ქალებისა და კაცების უფლებებისა და თავისუფლებების რეალიზაციისთვის თანაბარი პირობების შექმნასა და ქალთა აქტიური მონაწილეობის ხელშეწყობას. ცესკო უზრუნველყოფს სრული სტატისტიკური ინფორმაციის დამუშავებას გენდერულ ჭრილში, რომელიც ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული მხარისათვის.

გრანტები

საარჩევნო პროცესებში საზოგადოების მონაწილეობის ზრდის, სამოქალაქო ცნობიერების, ამომრჩეველთა ინფორმირების, პოლიტიკური პარტიების შესაძლებლობების განვითარებისა და ინკლუზიური საარჩევნო გარემოს ხელშეწყობისთვის ცესკო განსაზღვრავს საგრანტო კონკურსის პრიორიტეტულ მიმართულებებს და ცესკოს სწავლების ცენტრი სამოქალაქო ორგანიზაციებისთვის გრანტების გაცემას უზრუნველყოფს.

ვებ-გვერდი

ცესკომ შექმნა ახალი, მომხმარებელზე მორგებული, ინფორმაციული და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი ვებ-გვერდი, რომელიც მაქსიმალურად მარტივია და ხელმისაწვდომია სხვადასხვა პორტატული მოწყობილობებით: მობილური ტელეფონითა და პლანშეტით. „ანდროიდ“ სისტემაზე მორგებული სპეციალური აპლიკაციის გამოყენებით მომხმარებელს შეუძლია გადაამოწმოს მონაცემები ამომრჩეველთა სიაში მობილური ტელეფონებისა და პლანშეტების მეშვეობით.

ვებ-გვერდის მეშვეობით სხვადასხვა მნიშვნელოვანი საარჩევნო ინფორმაციის მიღებასთან ერთად მომხმარებელს საშუალება აქვს:

- ✔ გადაამოწმოს საკუთარი თავი ამომრჩეველთა სიაში (voters.cec.gov.ge) და იპოვოს მისი საარჩევნო უბანი
- ✔ მოიძიოს საარჩევნო უბნების ადგილმდებარეობა ინტერაქტიულ გეოგრაფიულ რუკაზე (map.cec.gov.ge)
- ✔ გაეცნოს საჩივრების რეესტრს (sachivrebi.cec.gov.ge), სადაც განთავსებულია ინფორმაცია საარჩევნო პროცესთან დაკავშირებული საჩივრებისა და მიღებული გადაწყვეტილებების შესახებ
- ✔ მოიძიოს გენდერული წარმომადგენლობისა და აქტივობის სტატისტიკა

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ამომრჩეველი უსინათლო/მცირემხედველი პირებისთვის

- ✔ ცესკოს ახალი ვებ-გვერდი სრულად ადაპტირებულია უსინათლო მომხმარებლებისათვის, სადაც მათ შეუძლიათ მიიღონ ინფორმაცია კენჭისყრის პროცედურებისა და კანდიდატების შესახებ აუდიო ფორმატში
- ✔ ყველა უბანი აღჭურვილია გამადიდებელი ლინზებით

ეტლით მოსარგებლე პირებისთვის

- ✔ ცესკოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე განთავსებულია ადაპტირებული საარჩევნო უბნების შესახებ ინფორმაცია
- ✔ გარკვეული საარჩევნო უბნები აღჭურვილია სპეციალური ხმის მიცემის კაბინებით
- ✔ საჭიროების შემთხვევაში, შესაძლებელია საარჩევნო უბნების ადაპტირება პორტატული (დროებითი) პანდუსით

სმენადაქვეითებული პირებისთვის

- ✔ ვიდეო რგოლები უზრუნველყოფილია სურდოთარგმანით
- ✔ ცესკოს საინფორმაციო ბრიფინგები უზრუნველყოფილია სურდოთარგმანით
- ✔ ყველა საარჩევნო უბანზე განთავსებულია პოსტერი კენჭისყრის დღის პროცედურების შესახებ

სატელეფონო/საინფორმაციო ცენტრი

ცესკოს სატელეფონო/საინფორმაციო ცენტრი უზრუნველყოფს ამომრჩეველთა და დაინტერესებულ მხარეთა ინფორმირებას. კომუნიკაცია შესაძლებელია შემდეგი საშუალებებით:

- ✔ სატელეფონო მომსახურება (2 51 00 51)
- ✔ ონლაინ ჩათი ცესკოს ვებ-გვერდის საშუალებით
- ✔ უფასო ზარი ნებისმიერი ქვეყნიდან ცესკოს ვებ-გვერდის საშუალებით;
- ✔ მოკლე ტექსტური შეტყობინება

საარჩევნო/სამოქალაქო განათლება

საარჩევნო ადმინისტრაცია ახორციელებს საგანმანათლებლო პროექტებს სხვადასხვა მიზნობრივი ჯგუფებისთვის.

ინოვაციური პროექტები

საარჩევნო განვითარების სკოლა – 10 დღიანი საგანმანათლებლო კურსი დაიწყო 2015 წელს და განხორციელდა 10, ხოლო 2016-ში – 20 საარჩევნო ოლქში. სულ მონაწილეობა მიიღო 17-25 წლის 1080-მა ახალგაზრდამ.

არჩევნები და ახალგაზრდა ამომრჩეველი – ხორციელდება ეთნიკური და მაღალმთიანი რეგიონების 22 მუნიციპალიტეტში. მონაწილეობა მიიღო 148 საჯარო სკოლის 2591-მა მოსწავლემ.

საარჩევნო ადმინისტრატორის კურსები – ხორციელდება ეთნიკური და მაღალმთიანი რეგიონების 22 მუნიციპალიტეტში. მონაწილეობა მიიღო 997-მა მონაწილემ, მათ შორის 445-მა მონაწილემ ეთნიკური უმცირესობებით დასახლებული 11 მუნიციპალიტეტიდან.

სასწავლო კურსები ახალგაზრდებისთვის

იურიდიული კლინიკა – მონაწილეობენ იურიდიული ფაკულტეტების სტუდენტები. დაარსების დღიდან სასწავლო კურსი 179-მა სტუდენტმა გაიარა.

სასწავლო კურსი საარჩევნო სამართლის დარგში – ხორციელდება 19 უმაღლეს სასწავლებელში. პროექტის დაწყების დღიდან საარჩევნო სამართლის სასწავლო კურსი 3317-მა სტუდენტმა გაიარა.

ინფორმირებული ახალგაზრდა ამომრჩეველი – სემინარებს „არჩევნები და არჩევნებში ახალგაზრდების მონაწილეობის მნიშვნელობა“ 2015-2016 წლებში სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლის პირველი და მეორე კურსის 1065 სტუდენტი დაესწრო.

საარჩევნო სამოქალაქო განათლების პროექტი – ორკვირიანი სასწავლო კურსი, 2015 წელს, თბილისისა და ქუთაისის ეს-ო-ეს ბავშვთა სოფლებში განხორციელდა. მონაწილეობა მიიღო ბავშვთა სახლებსა და ბავშვზე ზრუნვის სხვა ალტერნატიულ ადგილებში განთავსებულმა 42-მა ახალგაზრდამ.

ქალთა მონაწილეობის ხელშეწყობა პოლიტიკურ ცხოვრებაში

სასწავლო კურსი ქალი კანდიდატებისთვის – საარჩევნო პროცესებში ქალთა ჩართულობის ხელშეწყობის მიზნით, 2016 წლის იანვარსა და აგვისტოში, განხორციელდა ორდღიანი სასწავლო კურსი პოტენციური ქალი კანდიდატებისთვის, რომელიც გაიარა 99-მა მონაწილემ.

საგანმანათლებლო საქმიანობას ახორციელებს ცესკოს სწავლების ცენტრი



დისტანციური სასწავლო პროგრამა

ცესკოსა და სწავლების ცენტრის ვებ-გვერდებზე განთავსებულია დისტანციური სასწავლო პროგრამა. პროგრამის მეშვეობით შესაძლებელია კენჭისყრის დღის პროცედურებისა და საუბნო საარჩევნო კომისიის მუშაობის წესის გაცნობა. ინტეგრირებული ტესტების ბლოკი საარჩევნო საკითხებთან დაკავშირებული ცოდნის თვითგადამოწმების საშუალებას იძლევა.

საქართველოს საჯარო სკოლებში შიდა არჩევნების ჩატარების ხელშეწყობა

საარჩევნო ადმინისტრაცია ეხმარება საჯარო სკოლებს სამეურვეო საბჭოს წევრთა არჩევნების ორგანიზებაში. სპეციალურად შემუშავებული სატრენინგო პროგრამა „საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოს წევრების არჩევნები და კენჭისყრის დღის პროცედურები“ საგანმანათლებლო რესურსცენტრების 153-მა წარმომადგენელმა გაიარა.

ცესკო

საქართველოს საარჩევნო
ადმინისტრაცია